საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 06

ქ. ბათუმი 27 ივლისი, 2017წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის №67 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი დანართი 1-ის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **დ.ბარათაშვილი**

დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს
2017 წლის 27 ივლისის **N06 გადაწყვეტილებით**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის კრიტერიუმები

1. სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:

ა) ადამიანური (აკადემიური) რესურსი - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველ ერთ აფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირსა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო შესაბამის სამეცნიერო ან/და მოწვეულ პერსონალზე პროგრამის ყოველწლიური მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება მაქსიმუმ 10 ადგილით;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - სამუშაო საათებში, ორ ცვლაში უნდა იძლეოდეს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით სტუდენტთა მომსახურების საშუალებას, რაც გულისხმობს: სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, სათანადო აღჭურვილობის აუდიტორიების, ლაბორატორიების, სამედიცინო ბაზების, კლინიკების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში ან/და ავტორიზაციის ვადით სარგებლობაში ქონას (შესაბამისი მემორანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე); ასევე საბიბლიოთეკო რესურსების, სპორტული, შემოქმედებითი და სხვა არასააუდიტორიო აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას, კერძოდ:

- სასწავლო ფართი - ერთ სტუდენტზე მინიმუმ 3 მ^2;
- ფოიეები, საპროფესოროები და სხვა თავისუფალი სივრცეები - სასწავლო ფართის 20%;
- სარეკრეაციო სივრცე - ღია სივრცის მინიმუმ 20%;
- კომპიუტერული ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკასა და ღია სივრცეებში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა - სტუდენტთა რაოდენობის 1/15;
- საბიბლიოთეკო რესურსი - სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი ლიტერატურა (მატერიალური ან ელექტრონული), სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი/დარბაზები მათ შორის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატის სარგებლობის შესაძლებლობით;
- სპორტული, კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებისათვის საჭირო მოედნები, დარბაზები და სხვა სივრცეები - ერთ სტუდენტზე 0,2 მ^2;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის დინამიკა - პირველი განაცხადით დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა დადებითი (უარყოფითი) დინამიკის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტი ამ წესის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესაბამისად შეიძლება გაიზარდოს (შემცირდეს) მაქსიმუმ 30%-ით;

დ) სტუდენტთა განთესვის (მობილობით გადმოსვლა, გადასვლა, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა) მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა განთესვის საუნივერსიტეტო მაჩვენებელთან შედარების საფუძველზე მისაღები კონტინგენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ამ წესის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების გათვალისწინებით;

ე) სასწავლო პროცესის ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების (სტუდენტთა გამოკითხვები, ლექცია-პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობის მეცადინეობების მონიტორინგი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება და სხვ.) საფუძველზე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს სტუდენტთა კონტინგენტი ამ წესის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტების გათვალისწინებით;

ვ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და დასაქმების ბაზრის კვლევა - დამსაქმებლის მოთხოვნისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზის საფუძველზე სტუდენტთა კონტინგენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ამ წესის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტების გათვალისწინებით;

2. აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს იმავე დადგენილებაში უნდა მიეთითოს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის მაქსიმალური რაოდენობა.

3. აკადემიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი (ანკეტა-კითხვარი) ამ წესის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად.

4. უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტინგენტი განისაზღვრება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განსაზღვრული საერთო მაქსიმალური კონტინგენტის 3/2-ს.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.